| ბაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1893 ГОДЪ

на газету

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(десятый годъ изданія).

Газета будетъ выходить ежедневно, по прежней программѣ. Городская подписка принимается въ конторѣ редакціи, Головинскій проспектъ, 12. Гг. иногородные обращаются по слѣдующему адресу: Тифлисъ, въ редакцію газеты „Новое Обозрѣніе“.

Условія подписки, съ пересылкою и доставкою: на годъ 10 р., на полгода—6 р., на три мѣсяца—3 р. 50 к., на одинъ мѣсяцъ—1 р. 50 к., за границу: на годъ—17 р., на полгода 9 р., на три мѣсяца—5 р., (Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА, на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Редакторъ В. М. ТУМАНОВЪ. Издатель К. М. ТУМАНОВЪ



ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 20 იანვარს,

ბ. ა. ჯავახიშვილის საბენეფისოდ

ქართულ. დრამატ. საზოგ. დასისაგან

წარმოდგენილ იქმება

პირველად ამ სეზონში

I

## გორდილი

დრ. 4 მოქ. თავ. ა. სუმბათაშვილისა, თარ. ახნაზაროვისაგან

II

**მშვენიერ ელენეს მაძიებელნი**

კომ. 2 მოქ. გადმოკ. ა. ცაგარლის მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**დასაწყისი 8 საათზედ**

ადმინისტრატორი ვ. გუნია



23 იანვარს ქალაქ ბაქოს სობრანიაში, სასარგებლოდ ბაქოსა, შავ-ქალაქსა და ბალახანში ხოლერით გარდაცვალებულთა ობლებისა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გაიმართება

ქართული საღამო

შემდეგის პროგრამით:

განყოფილება 1

1) მოქმედება ანტონოვის კომედიიდგან

## მზის დაბნელება

2) მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდგან

## ბაიყუში

განყოფილება II

ცხოველი სურათები

და

## ლეკური

დასაწყისი 8 საათზე

საღამოს გამგენი: ე. ზ. სტალინსკაია, მ. ლ. კონსტენსკაია, ა. მ. ანტონოვისა.


**წლიური საზოგადო კრება**

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა კრება, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-სა, დანიშნულია კვირას, იანვრის 24, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1-ლ სექტემბრიდგან 1891 წ. 1 სექტემბრამდე 1892 წ. ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ $18^{92}/_{93}$ წლისათვის და გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (5—5)

# ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა სუსხიან ზამთრის გამო გადასცა ტფილისის პოლიცმეისტერს 1,000 მანათი ღარიბ ხალხისთვის დასარიგებლად.

*** აწ განსვენებულმა იაგორ გრიგოლის ძემ ფრიდონოვმა 1891 წელს წარუდგინა ქალაქის მოურავს 114 მანეთი და განაცხადა, რომ მისის ქონებიდგან ყოველ წელს გადაიდება ამდენივე ფული გარდასაცემად ხელოსანთა წოდების ახალგაზდა ქალისა, რომელიც ყველაზედ უფრო ღარიბი საპატარძლო აღმოჩნდება. ერთ წელიწადს რომ ეს ფული ერგოს სომეხ გასათხოვარ ქალს, მეორე წელიწადს უნდა მიეცეს ქართველ ქალსაო. ეს სასიამოვნო ამბავი ქალაქის მოურავმა შარშან შეატყობინა ხელოსანთა მოურავს და სთხოვა შეჰკრიბოს ამქრების უსტაბაშები და მათის დახმარებით ამოარჩიოს უღარიბესი გასათხოვარი ქალი, რათა ამ ქალს მიეცეს ხსენებული შემწეობა. დღემდე პასუხი არა ისმის-რა ხელოსანთა მოურავისაგან. შარშანვე წარმოადგინეს განსვენებულ ფრიდონოვის მემკვიდრეებმა კიდევ 114 მანეთი და ამ სახით ღარიბ საპატარძლოთათვის უკვე შეგროვდა 228 მანეთი, რის გამოც ქალაქის გამგეობა ხელმეორედ სთხოვს ხელოსანთა მოურავს, რომ მალე მოიწვიოს ამქრები და ამოირჩიონ ღარიბი გასათხოვარი ქალები, რომელთა შორის ერთი უნდა იყოს სომეხი და მეორე—ქართველი. თითო მათგანი მიიღებს 114 მანეთს, რაიცა საკმაოდ შეუწყობს მათ ხელს ცხოვრებაში. უეჭველია, ხელოსანთა მოურავი აღარ დაახანებს ამ საქველ-მოქმედო საქმას სისრულეში მოყვანას და ეხლა მაინც შეატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომელ ქალებს ერგებათ განსვენებულ ფრიდონოვის სასახელო შეწირულება.

*** როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ამას წინად სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორამ საყოველთაოდ დაადგინა და თავისი დადგენილება გაუგზავნა კიდეც საქართველოს საექსარხოსოს ბლაღოჩინებს, რომ 1893 წლიდგან წლოვანებისა და სხვა სიები უეჭველად რუსულს ენაზედ უნდა აწარმოონ მღვდლებმაო. როგორც ეხლა შევიტყეთ, სინოდის კანტორას უკვე მოსვლია რამდენიმე ბლაღოჩინისაგან მოხსენება, რომ დადგენილების ასრულება ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგან, ჯერ ერთი, მღვდლები ყველანი ვერ შეიძლებენ რუსულის ენის უცოდინარობისა გამო რუსულად წარმოებას მაგ საბუთის ქაღალდებისას და, მეორეც, საეკკლესიო წლოვანების ფურცლებზედ, სინოდის მიერ დაწესებულის წესით, მშობლებმა უნდა მოაწერონ ხელი და დაასაბუთონ, რომ მღვდლის მიერ ყოველივე ჩაწერილი სამართლიანად არის ჩაწერილიო. მკვიდრთ რუსული არ იციან და ამიტომ არცა თანხმდებიან ხელის მოწერას იმ ქაღალდებზედ, რომელიც იმათთვის გასაგებს ენაზედ არ არის დაწერილიო.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა ყველა ბოქაულებს, იანვრის 25-დგან დაათვალიერეთ ყველა სახლების ეზოები, ფეხის ადგილები და ჯირგნებიო და შეადგინეთ ყველა იმ სახლის პატრონთა სია, ვის სახლშიაც უსუფთაობა აღმოჩნდებაო. ეს სიები მზად უნდა იყვეს 25 თებერვლამდეო.

*** მორიგი კრება სამეურნეო საზოგადოებისა მოხდება 26 იანვარს. ამ კრებაზედ აგრონომი ა. ფირალაშვილი წაიკითხავს ვრცელს მოხსენებას კულტურულ ბცენარეთა სეტყვისაგან დაზღვევის შესახებ.

*** ტფილისში ჩამოვიდა დაღესტანის ოლქის სამხედრო გუბერნატორი გენერალ ლეიტენანტი თ. ნ. ზ. ქავჭავაძე.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას უკვე გაუგზავნია პეტერბურგს კავკასიის სხვა-და-სხვა ნაწარმოების კოლლექციები, გარდა თამბაქოსი, ჩიკაგოს გამოფენაზე გასაგზავნად.

*** კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას მიუმართავს ქალაქის გამგეობისათვის, და უთხოვნია, კავკასიის ექიმთა მომავალ კრებისათვის დაგვითმეთ ქალაქის საბჭოს დარბაზი რამდენსამე დღითაო. ამ თხოვნის შესახებ ქალაქის გამგეობას ამ დღეებში ბჭობა ექმნება.

*** ს. მეტეხი (გორის მაზრა): აქ სამწუხარო ამბავი მოხდა: 12 იანვარს აზნაური გაბრიელ დავითის ძე კვა-

# ფელეტონი

**მოკლე ცნობანი ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში და ხმლით აღება იერუსალიმის ქალაქისა ქართველთაგან 1527 წელს.**

(შემდეგი *)

სპარსელების გაძლიერება აღმოსავლეთში და იერუსალიმის დაპყრობა მათ მიერ შურდა მაშინდელ ოსმალეთის განთქმულს ხვანთქარს სელიმს, მით უმეტეს, რომ იერუსალიმი, გარდა მისის სტრატეგიულის მნიშვნელობისა, დიდს შემოსავალს იძლეოდა მთელის ქრისტიანეთის მლოცველთაგან, რომელთაც მაჰმადიანნი ბაჟს ართმევდნენ წმიდა ქალაქში შესვლა-გამოსვლისათვის. მაგრამ უფრო სამძიმოდ მიაჩნდა ხონთქარს თვალთმაქცური დაახლოვება სპარსეთისა ქართველებთან.

ამ მიზეზებისა გამო ხონთქარმა მოინდომა ქართველების გადაბირება თავისკენ, მათის გულის მოგება და განხეთქილების ჩამოგდება ქართველთა და სპარსთა შორის.

ამ სურვილის მისაღწევად ხონთქარმა შემდეგი ღონე იღონა: 1526 წელს გამოუგზავნა დესპანნი, ანუ მოციქულნი, ქართველ მეფეებს: გიორგი ქართლის მეფეს, ბაგრატ იმერეთის მეფეს და ლევანს, კახთა მეფეს, და შემოუთვალა: „ადგილი სჯულისა თქვენისა იერუსალიმი დაიპყრეს უსჯულოთა (ე. ი. სპარსთა), აწ მიმინიჭებიეს თქვენდა; მოვედით და განასხენით იგინი და დაიპყრენით თქვენდა“; ესე იგი, ხონთქარი ეუბნებოდა ქართველებს: თუ იერუსალიმიდამ სპარსელებს განდევნითო, ეს თქვენის რჯულის ქალაქი საკუთრებად თქვენთვის მომიციაო.

რასაკვირველია, ამ ამბავმა დიდად გაახარა და გაამხნევა ქართველთა მეფენი, რომელნიც იმ ხანად შერიგებულნი იყვნენ და საომრად მოემზადნენ. ამ საღმრთო ომში მონაწილეობა მიიღეს სამივე მეფემ და ათაბაგმა ყვარყვარემ, რომელიც იმ დროს ჰმორჩილობდა ქართლის მეფეს გიორგის. „ამისნი მსმენელნი მეფენი,—ასე მოგვითხრობს მატიანე,—სიხარულით შეკრბენ სპითა თვისითა, ვინადგან იყვნეს სიყვარულსა მტიცესა ზედა, და ათაბაგი ყვარყვარე მოერთო მეფესა გიორგის და წარვიდენ (იერუსალიმად) მსახურებელნი ღვთისანი“.

ქართველთ შეერთებული ჯვაროსანი ლაშქრობა მოულოდნელად შემოადგა იერუსალიმის ციხე-გალავანს. ეს მეტად ეუცხოვათ სპართა მცველებს და ლაშქარს, იერუსალიმში მყოფს. იგინი გამოვიდნენ და ჰკითხეს ქართველებს: „გვაუწყეთ, უკეთუ ხართ მტერნი, მცირედ გვიჩანთ და უკეთუ სტუმარ—მრავალ ხართ“. ამაზე მეფეებმა უპასუხეს, რომ თუმცა მცირენი ვართო, მაგრამ „მბრძოლნი ვართ ძალითა მაგავე ადგილისათი“.

ამისი გამგონი სპარსთა ლაშქრობა გამოვიდა იერუსალიმიდამ და იქვე, იერუსალიმის კედლებ წინ, გაიმართა ძლიერი ომი. ქრისტეს სიყვარულით აღფრთოვანებულნი ქართველნი იბრძოდნენ, როგორც ლომნი. სძლიეს სპარსთა ლაშქარს, ამოსწყვიტეს და გააქციეს. გაქცეული ჯარი გაეშურა იერუსალიმის ციხე სიმაგრისკენ. მაგრამ ქართველნიც ბრძოლით შიგ იერუსალიმში შეჰყვნენ, ამოსწყვიტეს იქ მყოფნი სპარსნი, და, ვინც ცოცხლები დარჩა, ტყვედ დაიჭირეს, ხოლო ქონება მათი და ნატყვენავი ალაფად აიღეს. ამას შემდეგ მეომართა აიყარეს იარაღი, სისხლი მოიბანეს და ქრისტეს საფლავი სხვა წმიდა ადგილებითურთ მოილოცეს. ეს იყო 1527 წელს.

გაიგო რა ეს ხონთქარმა, დიდად იამა და მრავალი ფეშქაში გამოუგზავნა ქართველებს და საჩუქრად მოსცა მათ წმიდა ადგილნი: საფლავი ქრისტესი, გოლგოთა, ბეთლემი და ჯვარის მონასტერი. „ხოლო მეფეთა განათავისუფლნეს იგინი და წარმოვიდნენ გამარჯვებულნი და მოვიდნენ თვისსა სამეფოსა შინა“. ასე აბოლოვებს „ქართლის ცხოვრება“ ამ მოთხრობს. მაგრამ მსოფლიო ისტორიიდამ ვიცით, რომ XVI—XVIII საუკუნოებში ქართველებს თათრებისაგან მინიჭებული ჰქონიათ ერთი უფლებაც, რომელსაც მოკლებულნი იყვნენ ყველა სხვა ერნი და ევროპიელთა ქრისტიანე სახემწიფონი. ეს უფლება იყო ის, რომ სხვა ყველა ერთა შორის მხოლოდ ივერიელთა შეეძლოთ უბაჟოდ და ბაირაღ-გაშლილად შესვლა იერუსალიმში. მსოფლიო ისტორია ჰმოწმობს, რომ ეს უფლება ოსმალთა ქართველებს მიანიჭებს „პატივად მათის განთქმულის ვაჟ-კაცობისა„, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ეს უფლება უნდა მოეპოვოთ ქართველებს ზემო ხსენებულის ბრძოლის

*) იხ. „ივერია“ № 12.

ლიაშვილი თავის ვენახში მანეულს ჰკაფავდა. ამ დროს თურმე იმისი ტოლი გლეხი პავლე კალატოზაშვილი მივიდა იმის სახლში და დედასა ჰკითხა: გაბო სად არისო? გაბო ვენახში არისო, მანეულსა ჰკაფავსო, მიუგო დედამ. ბიჭი მაშინვე ისე შურდულსავით დაეშო თავის მეგობართან, რომ უკანაც აღარ მოუხედნია. რომ მივიდა გაბოსთან, გაბო პავლესკენ წამოვიდა სიხარულით. პავლეს მხარს თოფი ეკიდა, თურმე ჩახმახი შეყენებული ყოფილა და თოფმა უეცრივ იგრიალა. საბრალო გაბოს გულში ეცა თორმეტი საფანტი. გაბო დღესაც მძიმე ავადმყოფია.

*** სოფ. ჰატარძეული (ტფილისის მაზრა): წარსულ ზაფხულს ისე ვერ შეგვაშინა ხოლერამ როგორც ეხლა ყმაწვილების გადამდები სენი გვაშინებს. აქ მძვინვარებს ყელ-ჭივრება და ხუნაგი. ხუნაგმა იმსხვერპლა ერთ ღარიბ ოჯახში სამი ბავშვი.

ღამის რაინდებმაც იჩინეს თავი და არ გვარჩენენ ვენახში ჭიგოს, ეზოში შეშას, საქათმეში ქათამ-ინდოურს და ზანდუკში ხილს. ამას წინად გაჰქურდეს ერთი ქვრივის ოჯახი, საიდგანაც გაიტანეს მარტო ხილი არა ნაკლებ თხუთმეტი მანეთისა.

*** გაზეთ „Каспій“-ში შემდეგ ამბავსა ვკითხულობთ: განჯის გუბერნიაში, ქვიდებეკში გამართულია სპილენძის ქარხანა სიმენსისა. ამ ბოლოს დროს შეამჩნიეს, რომ სპილენძზე ქარხანაში გაკეთების შემდეგ რაღაც შავი ფშხვნილი ეტყობა. ეს ფშხვნილი მოაშორეს სპილენძს, გასინჯეს და თურმე ვერცხლ-ნარევი ოქრო-კი აღმოჩნდა, ფშხვნილი გაჰგზავნეს ტფილისში და მთა-მადნების მმართველობის ლაბორატორიამ გასინჯა. აქაც შეამოწმეს, რომ ეს ფშხვნილი ნამდვილი ოქროაო.

გაზეთ „Кавказъ“-ს სწერენ, ქუთაისიდგან, რომ ფოსტის სალაროს ქვეშ ბოროტ განზრახვით ხვრელის გაკეთების გასო დაუპატიმრებიათ: ოსმალეთის ქვეშევრდომი მაჰმედ დავითაძე ყარამან-ოღლი, მარდალაიშვილი და კვატაია. ხვრელში მაკრატელი იპოვნეს, რომელიც დავითაძეს ეკუთვნის.

## ქალაქის საბჭო

ორშაბათი, 18 იანვარი

კრებას პირველად მოჰხსენდა თხოვნა ქალაქის მეთულუხეებისა, რომელნიცა ჩივიან, რომ წყლის გაძვირებამ ძლიერ შეუმცირა ნამუშევარი და სთხოვენ თავიანთის მდგომარეობის შემსუბუქებას. ქალაქის გამგეობის აზრით, ეს თხოვნა უყურადღებოდ უნდა იქმნას დატოვებული, რადგან ყოველი ღონისძიება უნდა იქმნას ხმარებულ, რომ საზიზღარი თულუხი აღარ იყოს ხმარებაში. ერთ-ერთ ღონის ძიებად ქალაქის გამგეობას მიაჩნია შემოღება ოთხ-ოთხ „ვედრიან ბოჩკებისა“, რომელთაც ასეთის სიადვილით ატარებენ მუშები ზურგით და დღეში მანეთზედ მეტს ფულს იღებენ. განსაკუთრებლად ამისთანა მუშების საქმისა, გამგეობა ურჩევდა საბჭოს, რომ ექვსასი მანეთი გაიღოს ქალაქმა, იყიდოს ორასი „ბოჩკა“ და მუქთად დაურიგოს მუშებს, რომელნიც-კი მოინდომებენ ამ გვარ შრომას. საბჭომ სასარგებლოდ იცნა ეს საქმე და გადასდო ექვსასი მანეთი.

მეორე საყურადღებო საგანი კრებისა იყო სარჩიელი ხმოსან ნ. ი. ნიკოლაძისა იმის შესახებ, რომ ქალაქის მიდამოში გაკეთდეს რამდენიმე ტბა. ხმოსანმა ნიკოლაძემ ასე განმარტა თავისი სარჩიელი: ამ ბოლოს დროს ძლიერ გავრცელდა ამერიკისა და სამხრეთ-რუსეთში ეგრედწოდებული ხელოვნური ტბები. მთიან-ადგილებში წვიმის დროს დიდძალი წყალი მოვარდება ხოლმე და უმეტეს ნაწილად იკარგება უსარგებლოდ. ამ წყალის გამოსაყენებლად ამერიკაში ჰმართავენ ისეთს ადგილებს, სადაც იკრიბება მთის წყალი და იმართება საკმაოდ ფართო ტბები. ტფილისის მიდამონი ამ მხრივ ჩინებულს მდებარეობას წარმოადგენენ. ბ-ნ ნიკოლაძის აზრით, საკმარისია ათასი ან ათას-ორასი თუმანი, რომ გაკეთდეს შესაფერი საგუბრები და ათ მილიონ „ვედრამდე“ წყალი შეიმაგროს ქალაქმა თავის საჭიროებისათვის. ეს წყალი გამოდგება სარწყავად, ტყეების მოსაშენებლად და სხვანი. საქმის განსახორციელებლად საჭიროა, სთქვა ხმოსანმა, წინადვე ავიღოთ ხეობათა „პლანები“, რომელთა შედგენას დასჭირდება სულ ორმოცი თუმანიო.

ხმ. გარაპეტოვი. ეგ საგანი ჯერ უნდა აღმაშენებელმა კომისიამ განიხილოს.

ხმ. ბოლგარსკი. ჩემის აზრით, წინადადება ხმ. ნიკოლაძისა დიდად საყურადღებო და ადვილად შესასრულებელია. მხოლოდ მაგ საქმის დასაწყისად არა კმარა ორმოცი თუმანი.

ხმ. ბაქრაძე. სარგებლობა საქმისა აშკარაა. იმ საბუთებს, რომელიც ანუსხა ხმ. ნიკოლაძემ, მე მხოლოდ დავუმატებ შემდეგს გარემოებას: უტყეო მთებმა საშინელი ნიაღვრები იცის. ზარალი ამ ნიაღვრებისაგან დიდი მოსდის ჩვენს ქალაქს. ამას წინად ტფილისში ისეთი ძრიელი ნიაღვარი იყო, რომ რამდენსამე ალაგას გახეთქა და მიანგრია სოლოლაკის დიდი საქალაქო არხი, რომლის შესწორებაზე ქალაქმა დახარჯა ოთხიათას თუმნამდე ფული. ხელოვნური ტბები ამისთანა ზარალსაც აგვაცდენენ და დიდს სარგებლობასაც მოუტანენ ქალაქს.

საბჭომ გადასდო ორმოცი თუმანი „პლანების“ დასახატავად და აღსრულება საქმისა მიანდო ქალაქის გამგეობასა და აღმაშენებელ კომისიას იმ პირობით-კი, რომ ბ-ნმა ნიკოლაძემაც მიიღოს მონაწილეობა მათს მოქმედებაში.

ბოლოს განხილულ იქმნა საჩივარი თავ. ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა შესახებ იმისა, რომ გამგეობა ეს ორი წელიწადია ნებას არ აძლევს შენობების გაკეთებისას მადათოვის კუნძულზედ. საბჭომ შეიწყნარა საჩივარი თავ. მუხრანსკისა და მისცა უფლება შენობების გაკეთებისა. კრება დაიშალა ღამის 12 საათზედ.

## ქუთაისის საბჭო

(წერილი ქუთაისიდამ)

ამ თვეში უმთავრესი ყურადღება საბჭოსი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამ მიიქცია. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი თანაგრძნობის ღირსი განკარგულება ქალაქის მოურავისა. ეს განკარგულება აქამომდეც უნდა ყოფილიყო შემოღებული. ეს განკარგულებაა ხარჯთ-აღრიცხვის დაბეჭდვა და დარიგება ხმოსანთათვის, რომ ხმოსნებს დრო ჰქონდეთ საგნების წინდაწინ საკმაოდ გაცნობისა.

ერთი რამ ნაკლულევანება-კი ემჩნევა ამ დაბეჭდილ ხარჯთ-აღრიცხვას, სახელდობრ ის, რომ იქვე არ არის მოყვანილი, რა საფუძვლითა და მოსაზრებითაა ჩართული თითოეული საგანი, მაგრამ ამ ნაკლს ავსებს ბ-ნის მოურავის განმარტების წერილი, რომელსაც საბჭოს მდივანი კრებაზედ ჰკითხულობს თითოეულის საგნის დასასაბუთებლად.

გარდა ამ უმთავრესის საგნისა საბჭოს სხვა წვრილმანი საქმეებიცა აქვს განსახილველი, მაგრამ ეს წვრილმანი საქმეები იმდენად საინტერესო არ არის, რომ ჰღირდეს იმათ შესახებ ლაპარაკი. მხოლოდ ერთმა გარემოებამ დაარღვია ჩვეულებრივი მიმდინარეობა ჩვენის საბჭოს კრებათა და ამ გარემოებაზე მინდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა.

წინანდელ კორესპონდენციიდამ გეხსომებათ, რომ ერთმა ხმოსანმა ბ-ნმა მიქიაშვილმა 19 დეკემბერს მიჰმართა საბჭოს და ურჩია ლიტონის სიტყვით: ვსთხოვოთ მთავრობას დააჩქაროს ჩვენს ქალაქში ახალის საქალაქო დებულების შემოღებაო. ეს რჩევა არ შეიწყნარა საბჭომ. ბ-ნმა მიქიაშვილმა ეს იწყინა და ხელი ჩასჭიდა იმ უფლებას, რომელიც ყოველ ხმოსანსა აქვს, და მოინდომა თავის აზრის ცალკე წერილით გამოთქმა, რადგან ამ საგნის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება ჭკუაში არ დაუჯდა. საზოგადოდ ამ გვარი კერძო აზრი ხმოსნისა დაერთვის ხოლმე წინანდელ კრების ოქმს და იგზავნება საქალაქო საქმეთა საკრებულოში განსახილველად.

ბ-ნმა მიქიაშვილმა წარმოსთქვა თავისი საკუთარი აზრი შესახებ ახალ დებულების საჩქაროდ შემოღებისა, მაგრამ წარმოსთქვა ისეთის ახირებულის სიტყვა-პასუხით, რომ საწყენად მიიჩნია მთელმა საბჭომ და განსაკუთრებით მოურავმა, რომელიც წევრია ქალაქის გამგეობისა. ბ-ნმა მოურავმა სთხოვა საბჭოს, საერთოდ ჩვენის ამ ნაირის შეურაცხებისათვის მოიხმარეთ კანონიერი რამ ღონეო, ე. ი. აუკრძალეთ ბ-ნს მიქიაშვილს დაესწროს საბჭოს კრებასაო.

მოურავის წინადადება განხილულ იქმნა 13 ამ თვეს. ვიდრე საბჭო შეუდგებოდა ამ საქმეს, ქალაქის მოურავმა სთხოვა მიქიაშვილს კანონის ძალით, დროებით დაეტოვებია საბჭოს დარბაზი. წაიკითხეს, როგორც ზევით მოხსენებული კერძო აზრი ბ-ნის მიქიაშვილისა, ისე ბ-ნ მოურავის წინადადებაც. მიქიაშვილის კერძო აზრი ასეთია: საზოგადოდ ის წუნსა სდებს ქუთაისის ქალაქის მმართველობის მოღვაწეობას, როგორც წინად, ისე ეხლა. ბ-ნი მიქიაშვილი ამბობს, რომ საბჭოცა და გამგეობაც ფულის ხარჯვაში დაუდევრად იქცევაო და ამ მძიმე საქმეს სუბუქად ეკიდებაო. ამას გარდა, ერთიცა და მეორეც ქალაქის ინტერესებისთვის უზრუნველობას იჩენს, პირად ინტერესებს მისდევს და სხვ. სხვათა შორის, ბ-ნი მიქიაშვილი ამბობს, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენის საბჭოს ხმოსანთა გაუგებარია და წერა-კითხვის უცოდინირიც-კიო. ეს არის მიზეზი, რომ ქალაქის საქმეები აწეწილ-არეულიაო; ყველა ამ საქმის განსახილველად, ვთხოვ გუბერნატორს ერთი მოხელე დაგვინიშნოს, რომლის წინამძღვრობით და ხელმძღვანელობით, ამ არეულ საქმეების განხილვას თვით მე ვკისრულობო. ბ-ნი ხმოსანი დასძენს: ეხლანდელი საბჭო იმისთვის არ დასთანხმდა ახალ დებულების შემოღებასაო, რომ იმედი არა აქვთ ხმოსნებს, თუ ხელ-მეორე არჩევანებზე კიდევ აირჩევენ ამომრჩეველნიო. ხმოსნებმა დაიწყეს სჯა და კამათი წაკითხულის შესახებ.

ბ-ნი გ. ჩიკვაიძე. მართალია, ბევრი უხერხული და საწყენი სიტყვები აქვს ნახმარი საბჭოს შესახებ ბ-ნ მიქიაშვილს, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს მოსვლია გულ-წრფელობით და ქალაქის ინტერესების გულ-შემატკივრობით. ამხანაგობაში ხშირად მოგვიხდება მწარე სიტყვების წამოსროლა, მაგრამ ერთმანეთს ვაპატიებთ ხოლმეო. ან რა დიდი საწყენია მაინც და მაინც წერა-კითხვის უცოდინარობის დაწამებაო. ვინ არ იცის, რომ მე წერაც ვიცი და კითხვაც, მაგრამ გაზეთებში გამომაქვეყნეს, ვითომ არც წერა და არც

შემდეგ, სამაგიეროდ იმ სამსახურისა, რომელიც ქართველებმა ოსმალებს გაუწიეს იერუსალიმის აღებით და სპარსთა ხელიდამ განთავისუფლებით.

ამას შემდეგ ქართველთა მტკიცედ ეჭირათ თვისი სამკვიდრებელი იერუსალიმში წმიდა ადგილები: ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, აღდგომის მონასტერი, ჯვარის მონასტერი და სხ. 1565 წელს ასე აღგვიწერს ფილიპე შაქარაშვილი ქართველთ მონასტრებს იერუსალიმში: „შეწევნითა წმიდისა სამებისათა... მე გლახაკი... ფილიპე შაქარაშვილი ჟამთა ამათ უკანასკნელთა, მრავალთა ცოდვათა ჩემთა შენდობის მისაღებად წარმოვედ ქვეყანით ჩვენით სამცხით... წმიდად ქალაქად იერუსალიმად წელთა ფოგ:.. და რაც ოდენ ძალმედვა წმიდათა (ქართველთ) მონასტერთა და ძმათა და დათა საწირავი და სამლოცველო მოვახსენე... და ალაპები უყავ და ას ფლურად გოლგოთას კანდელი დაუკიდე საუკუნოდ... ეგრეთვე საბას ლავრას ჩასაწერელი და საწირავი მივეცი... და სინელთა (ე. ი. სინას მთაზე აშენებულს ქართველთ მონასტერს) ოქროს საყური... და სინის მამას ორი ფლური. ერთი წელი და ნახევარი იერუსალიმს (ქართველთ) ჯუარის მონასტერში დავყავ... და ვეკურთხე მღვდელად საფლავსა ზედა საუფლოსა“.

იმ დროებში ჯვარის მამად მჯდარა ქართველთა ეპისკოპოსი ეპიფანე. ამასთან კარგა ხანი დაუყვიათ ქართველთ ეპისკოპოზებს ნიქოზელს, ვლასელს და ტფილელს (ე. ი. ტფილისის ეპისკოპოზს) ბარნაბას, გვარით ფავლენიშვილს, რომელნიც იერუსალიმში მოსულან 1570 წელს და დიდი შეწირულობა მიუტანიათ შესამკობელად იერუსალიმის ქართველთ მონასტრებისა.

მაგრამ ყველაზე უფრო ნამდვილს, სრულსა და შესანიშნავს ცნობებს იერუსალიმის ქართველთ მონასტრებზე გვაძლევს პოლშელი მოგზაური ნიკოლა რადზივილა თვის სამგზავრო წიგნში: „მგზავრობა წმიდათა ადგილთა იერუსალიმს ნიკოლა რადზივილასი“, როსელსაც აუწერია ქართველთ მონასტრები იერუსალიმს 1582 წელს, ე. ი. 310 წლის წინად. აი, სხვათა შორის, რასა სწერს ნიკოლა: „იმ ადგილზე, სადაც იდგა ჯვარი უფლისა (ტხემის ადგილზე), გეორგიახთა (ე. ი. ქართველთა) აქვთ 32 კანდელი, რომელთაგან მხოლოდ ხუთნი ანთიან. — ნათლის-მცემლის მონასტრით ერთს მილზე არის მონასტერი წმიდისა ჯვრისა (ჯვარის მონასტერი), რომლისათვის დაურქმევიათ ბერძენთა „წმიდისა მთავარანგელოზისა. ეს მონასტერი არის გეორგიანებისა (ქართველთა) და იმავე წესზე დამყარებულია, როგორც მონასტერი წმიდისა საბასი. იმაში ცხოვრობს ეპისკოპოსი გეორგიანთა. ეს მონასტერი, როგორც ამბობენ, აშენებულია იმ ადგილზედ, საიდამაც ამოთხარეს ზეთის ხილის ხე ქრისტეს ჯვარისათვის და დღესაც დიდს საკურთხეველს ქვეშ აჩვენებენ ადგილსა, საიდამაც ის ამოუთხრიათ. კათოლიკეებს და აღმოსავლეთის ყველა ქრისტიანებს დიდი პატივისცემა აქვთ იმისი. — დიდის საკურთხევლის მარჯვნით არის მცირე ეკუდერი კათოლიკეებისა (ფრანგებისა), სადაც ყოველ წელს სწირვენ. იმ მონასტრის ეპისკოპოსი გაგვიმასპინძლდა ჩვენ ზეთის ხილით და ხმელის პურით, რადგან ხორცს არ სჭამენ იქ (ე. ი. იქაური ბერები).

„გარნა როდესაც გეორგიანთა სრულიად გოლგოთის მთა განისაკუთრეს სალოცველად, მაშინ ევროპიელთ ერთა და კათოლიკეთ ადგილი არ ჰქონდათ გოლგოთის ტაძარში და არც სომხებს დაურჩათ იქ სამლოცველო ადგილი, ამის გამო ერთმანეთს მოურიგდენ სომეხნი (არმანნი) და გეორგიანნი აგრეთვე კათოლიკენი და გეორგიანნი და განაჩინეს, რომ ნახევარი გოლგოთის მთისა, რომელზედაც ჯვარს აცვეს მაცხოვარი, მიეცეს კათოლიკთა, ხოლო სანუფქოთ ამისა კათოლიკთა მისცენ ქართველებს მესამე ნაწილი ზემო ასასვლელი სალოცველთა ზედა აბისსინთა და სირიელთასა. ამ სახით გეორგიანთა და არმანთა (სომეხთა) მოიპოვეს ამ ადგილას თვისი საკუთარი საკურთხეველი და ორთავე ცალ-ცალკე აქვთ კიბე ხისა და ამ კიბით ტაძრიდამ იქ ადიან. გაცვლა ამ ადგილისა კათოლიკთათვის ფრიად სასარგებლოა, რადგან ამათ (ე. ი. ევროპიელ ერთა-კათოლიკეთ) სამაგიეროდ ნახევარი გოლგოთის მთისა და ორი წილი ზემოასავალისა დაისაკუთრეს, რომელიცა დიად ვრცელი არის. იქმნა ეს მაშინ, როდესაც იერუსალიმი ეგვიპტის სულთნის სამფლობელოში იყო“.

ცხადია, რომ ნიკოლა რადზივილას ის შემთხვევა აქვს სახეში, რომელიც ჩვენ ზემო აღვნიშნეთ, და ცნობა ერისთვის შვილის პიპას იერუსალიმს გაგზავნისა და წმიდა ქალაქის კლიტეს დაბრუნებისა ჰმტკიცდება პოლშელ მწერლის ნათქვამითა.

თ. ჟორდანია

(დასასრული იქნება)

კითხვა არ ვიცოდეთ. ჩემის აზრით, საკმაო იქნება ამხანაგურად ვუსაყვედუროთ მიქიაშვილს და იმითი გავათაოთ.

ბ-ნი დარახველიძე და ალიბეგოვი. ეს შემთხვევა პირველი არ არის. ბ-ნ მიქიაშვილს წინადაც ჩაუდენია ამ ნაირი საქციელი. 1887 წ. იმავე ბ-ნ მიქიაშვილს მთელ საბჭოს შეურაცხებისათვის აეკრძალა დასწრება საბჭოს შვიდს კრებაზე, მაგრამ ეს გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოიყვანეს მაშინ, რადგან სწორედ იმ დროს, ყავლი გაუვიდა ძველს საბჭოს და ახალი იქნა არჩეულიო. რადგან ბ-ნ მიქიაშვილს სჩვევია ამ ნაირი უმართებულო ქცევა თვის ამხანაგებისადმი, საჭიროა მკაცრი რამ ღონისძიება ვიხმაროთ მის წინააღმდეგაო. ჩვენის აზრით, არ იქნება ურიგო გავიხსენოთ მისი ძველი დანაშაულიც და სისრულეში მოუყვანელი განჩინება, შევკეცოთ ორივე საქმე და თოთხმეტს კრებაზე ავუკვეთოთ დასწრება, რადგან ჩვენ რიგიან ამხანაგებად არ მივაჩნივართო.

ბ-ნი ხაზაროვი. მეც თანახმა ვარ, რომ სასჯელი მივაყენოთ ბ-ნს მიქიაშვილს და აი რა მოსაზრებით: მარტო ის-კი არ არის სასურველი და სანატრელი ქალაქის თვით-მმართველობაში, რომ ქუჩები გავაკეთოთ და, შეძლებისამებრ, რიგიანად ვაწარმოვოთ ქალაქის საქმეებიო. ჩვენთვის დიდი საქმე ის არის, რომ შევეჩვიოთ მოქალაქობრივ ცხოვრებას; ერთმანეთის ხელის შეწყობით, პირადობის ხელ-შეუხებლობით, მართებულობისა და თავაზიანობის დაცვით, ერთობით ვაწარმოვოთ საზოგადო საქმეო. ეს ჩვენთვის სკოლაა და საზოგადო საქმებისათვის საწვრთნელი ასპარეზიო. ამ დიდ აზრს ხელს უცრის ბ-ნ მიქიაშვილის უწესო საქციელიო.

ბ-ნი ჩიკვაიძე თხოულობს, რომ შეუმცირონ მაინც სასჯელი და ხუთს კრებაზე დასწრების აღკრძალვა აკმარონ.

ჩამოატარეს კენჭი და 25 ხმის უმეტესობით 9 წინააღმდეგ გადაწყვიტეს: აღეკრძალოს ბ-ნ მიქიაშვილს შვიდს კრებაზე დასწრებაო.

ქალაქის მოურავმა მოიხმო მაშინ ბ-ნი მიქიაშვილი, გამოუცხადა საბჭოს განაჩენი და სთხოვა, დაეტოვებინა საბჭოს დარბაზი, რადგან ეს კრებაც იმ თქვენთვის აღკრძალულ კრებათა რიცხვში ჩათვლილიო.

ბ-მა მიქიაშვილმა სთქვა, რომ საბჭოს არა ჰქონდა უფლება ეს საქმე გაერჩია, რადგან თვითონ იმას შეეხება შეურაცხებაო. თუმცა ეხლა მე წავალ აქედამ, მაგრამ შემდეგის კრებისათვის ისევ მოვალო.

ვნახოთ, როგორ ჩაივლის ეს საქმე, რომლის შესახებაც დღეს ბევრს ლაპარაკობენ მთელს ქუთაისში.

კ. ბ—ძე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ბათუმი.** 1892 წელს, 6 დეკემბერს, ბათუმიდგან წამოვიდა ბათუმის პირველ სოტნის უფროსი პოდპორუჩიკი აბდულ ბეგ ბეჟანიძე და თან წამოიყვანა ხუთი მილიციელი: ხემიდ ბეგ ბეჟანიძე, იუბა იაპფან ჩოლლი, სალიხა ქოროღლი, ყადირ თურმანიძე და ასან ციციანი. შემდეგ ამათ კიდევ რამდენიმე მილიციელები მიემხროთ და იმავე ღამეს ეს ჯარი დაეცა სოფელ ზესოპელს და გაჩხრიკა ყველა სახლები, რომელიც შენიშნული იყო ავაზაკების თავშესაფარად, მაგრამ ავაზაკები ალარსად აღმოჩნდნენ. მეორე დღეს სოტნის უფროსი წავიდა იმავე საზოქაულოში სოფელ კვაშტას. აქაც გაჩხრიკა შენიშნული სახლები და უეცრად წააწყდნენ კაცის კვალს, რომელიც ძლივს ეტყობოდა თოვლზე. ამ კვალმა მიყვანა ერთ სახლში, რომელშიაც დიდი ხანია არავინა სცხოვრობდა. ის სახლი ეკუთნოდა დურსუნ ბაირახტაროღლის. სოტნის კამანდირმა უბრძანა ჯარი შემორტყმოდა ამ სახლს, და დაუძახეს დაგვნებდითო, ან არა და მოგკლამთო. სახლში მყოფმა ავაზაკებმა პასუხის მაგიერად თოფები გამოისროლეს და ერთ მილიციელს ალი კავაზ ოღლის დაუშავდა ხელი. თოფის სროლა გაგრძელდა თითქმის ერთ საათზე მეტს. ღამდებოდა კიდეც და ღამე ადვილი შესაძლებელი იყო გაქცეულიყვნენ ავაზაკები და ამიტომ უფროსმა ბრძანა, შეცვივდით სახლშიო. ბრძანებისთანავე ჯარმა შეამტვრია კარი და შეცვივდნენ სახლში. სახლში ერთი ავაზაკი მოჰკლეს, რომელიცა სძარცვიდა ხალხს ზეკარსკის მადნის წყალზედ. ეს ავაზაკი დიდი ხანია გადასახლებული იყო სათათრეში, რომელსაც ეწოდებოდა ომერ ასან ოღლი, იგივე ზეირალი. დაიჭირეს იმის ამხანაგიც, რომელმაც აღიარა მე ვარ თათრის კაციო სუაზკის ვილაეტი სოფელ ალაურდაში მცხოვრები ჰაჯი მეხმედ ოღლი, იგივე ბაირახტარ ოღლი. ამ ავაზაკებს უნახეს ორი თოფი პიბოდისა, ერთი ქამარი ჩვიდმეტ ნაჭერ ვერცხლით, ერთი ვერცხლის საათი, ერთი ნაბადი და ერთი ქურქი. ბ-ნმა სოტნის კამანდერმა სთხოვა ოლქის უფროსს, დაასაჩუქროს შესაფერ ჯილდოთ ის კაცები რომელთაც გამოიჩინეს დიდი მამაცობა და არ დაზოგეს თავი ამ ავაზაკების დასაჭერად. ოლქის უფროსი ამ თხოვნის ასრულებას დაჰპირდა.

ე.

## სიტყვა,

თქმული ნინოობა დღეს, სიონის ტაძარში იღუმენის ლეონიდის მიერ.

„ნინას ხსენება სიხარულისა ღირს არს.“ (იხ. წმ. ნინას საცისკრო საგალობელის მერვე გალობის მეორე მუხლი.)

„ცხოველის სიხარულით და საღმრთო სიამოვნებით უცემს დღეს გული ყოველ შეგნებულ ქართველს; დღეს ყოველი გონიერი ქართველი ქედმაღლობს თავის ხალხოსნობით და საბუთად სადღესასწაულო სიხარულისა, წმ. სიამოვნებისა და ლხინისა აქვს ხსენება ღირსისა დედისა ნინო ქართველთ-განმანათლებელისა, ხსენება იმისი, რომელმა „დაადგა ქართველ ერს გვირგვინი ქრისტეს მიერი ზოგადი“, რომლის ლოცვითა და ვედრებით „არმაზ დაეცა გოდებით და ზადენისნი გაიმ გაცითურთ მეხდატეხილ იქმნეს“.

შემდეგ იღუმენმა ლეონიდმა უამბო მსმენელთ, რა გვარი კერპთ თაყვანის-მცემლობა იყო საქართველოში მირიან მეფის დროს; წმ. ნინოს მოღვაწეობით როგორ მიიღო ქრისტიანობა მეფემ და ერმა და ასე დაასრულა თავისი სიტყვა:

„ასე და ამ გვარად დაწესდა ქრისტიანობა საქართველოში, ამ გვარად ნათელ-იღო ქართველმა ერმა და ამ გვარად მოჰფინა ნათელი ქრისტესი სიბნელეში მყოფს ერს წმ. ნინომ, რომლის ხსენებასაც ვყოფთ დღეს დღესასწაულებრივის სიხარულით; მიანიჭა საქართველოს ღვთაებრივი ძალა, რომელმაც განავითარა, განაძლიერა და ააყვავა ქართული ენა; გააწმინდავა, აღამაღლა, გააფაქიზა და გააკეთილა ქართველების სულიერი ცხოვრება, ზნეობა, ყოფა-ქცევა და საზოგადო შეხედულობა ქვეყნიერობაზედ; დავრდომილი და ნაწილ-ნაწილად დაყოფილი ერი აღორძინა, შეაერთა და გახადა სახელოვან, მძლავრ სამეფოდ; შემუსრა მის გარშემო ათასჯერ მაზედ მძლავრნი და მაგარნი მტერნი და სხვ. ამის გამო ყველა შეგნებულ ქართველისათვის, ჭეშმარიტად, „ნინოს ხსენება სიხარულისა ღირს არს“.

„ნინომ მოგვანიჭა მართლ-მადიდებლობა, რომელსაც დიდი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენის ერის ბედ-იღბალზე მთელ მის ისტორიულ სიცოცხლის განმავლობაში. საქართველოს ერის სამოქალაქო ისტორია განუყოფელი, შეთვისებული და შეერთებულია იმისავე ეკლესიისა, სარწმუნოებისა და სათნოების ისტორიასთან. მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას უმოქმედებია, უმხნევებია და გაუმაგრებია ქართველები, როგორც განსაცდელსა და გაჭირვების ჟამს, ისე შვებისა და შეღავათის დროს. ყოველი ნაბიჯი ჩვენის ხალხისა ძველად აღიბეჭდებოდა ღრმა, გულითადის და შეურყეველის სამშობლო ეკლესიის და სარწმუნოების სიყვარულით. ყოველიფერზე პირველი და ყველაზე მაღალი ქართველ ხალხისათვის იყო სარწმუნოება. სარწმუნოების და ეკლესიის დაცვა-დაფარვა იყო პირველი საგანი გარეშე მტრებთან განუწყვეტელის ბრძოლისა. ყოველ შემთხვევაში ქართველი ერი მუდამ მზადა ყოფილა გაეწირა თავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესათვის, ყოვლად წმ. ღვთის მშობლისა და მთლად ქრისტიანობის გულისათვის. წმ. სარწმუნოებისთვის თავი დასდეს და ეწამნენ ყოველ წოდების წარმომადგენელნი:—მეფენი და თავადნი, აზნაურნი, სამღვდელონი, მოვაჭრენი და გლეხნი. სარწმუნოების სიყვარულით და სასოებით გაბედულად გადულახამთ ქართველებს გაუვალი უფსკრულები, გასულან დიდრონ და საშიშ მდინარეებს, ასულან მაღალ და მიუვალ მთის წვერს, აუღიათ და აუოხრებიათ უძლეველნი სიმაგრენი, მრავალჯერ მოუთმენიათ სიმშილი, წყურვილი, სიცივე და გადაურჩენიათ თავიანთი სამშობლო ეკლესია და საყვარელი მამული დალუპვას. ერთის სიტყვით, სარწმუნოება იყო სული ქართველ ერის სიცოცხლისა. უსარწმუნოოდ ქართველს თავისი თავი ქართველად არ მიაჩნდა. ამ სარწმუნოებამ, რომელიც ქვაკუთხედი იყო ხალხის ცხოვრებისა, აღზარდა და დაჰბადა ხალხში ერთსულოვნობა, თანხმობა და სიყვარული, ხოლო ყველაფერმა ამან დავარდნილი და უძლური ერი გადააქცია დიდ და მძლავრ სამეფოდ. ჭეშმარიტად ძველ ქართველს საბუთი ჰქონდა ეთქვა და ამობდა კიდეც: „ესე არს ძლევა, რომლითა სძლევს სოფელსა, სარწმუნოება ჩვენი“. (იოან I, 5. 5.). აღმოსავლეთიდამ მოგვიტანა სარწმუნოება წმ. ნინომ; აღმოსავლეთიდამვე გადმოგვიღეს წმ. მამებმა სამშობლო, გასაგებ ენაზე საღმრთო და საეკკლესიო წიგნები. ამის გამო, რასაკვირველია, განვითარდა, გამოირკვა, განმტკიცდა, წარმატებაში შევიდა და ხელოვნურად შემუშავდა ქართული ენა, ხოლო ენასთან ერთად განმტკიცდა და განირჩა ეროვნული თვით-ცნობა, ამაღლდა სული ქართველობისა და ეს, მხოლოდ ეს გარემოებაა უმთავრესი მიზეზი იმისი, რომ ჩვენმა მამა-პაპამ მოიშორა თავიდამ ათას გვარი მტერი, აიტანა აუტანელი გაჭირვება, შეგვინახა და დაგვიტოვა მშვენიერი ტაძრები, შეგვინახა და გადმოგვცა ტკბილი სამშობლო ენა, შეგვინახა და გადმოგვცა სამშობლო მიწა-წყალი.

რა საკვირველია, ჩვენთვის საყვარელი და სათაყვანოა ის, რომელმაც მოგვანიჭა ამ გვარი ბედნიერება, სათაყვანოა ის ღვთაებრივი ძალა,—სარწმუნოება,—რომელმაც დაჰბადა, აღორძინა და გაამძლავრა ქართველი ერი; საყვარელნი არიან ის წიგნნი და ენა, რომლებშიაც და რომლითაც განმარტებულია სარწმუნოებრივი სწავლა-მოძღვრება, საყვარელნი და მარად სახსოვარნი არიან ისინი, რომლებმაც განაგრძეს შრომა წმ. ნინოსი და არ დაზოგეს თავიანთი თავი სამსხვერპლოდ სარწმუნოებისა, მამულისა და ეროვნებისა. მერე გვიყვარს განმანათლებელი ჩვენი, ღირსი დედა ნინო? ვამტკიცებთ ამ სიყვარულს იმის შრომა-ცხოვრების დაწვრილებითი ცოდნით? გვაქვს ყველას ოჯახში იმისი წმ. ხატი ჩვენდა და ჩვენ შვილთა საგულისხმიეროდ, ან ვსწავლობთ იმ წიგნებს, რომლებშიაც უმეტ-ნაკლებოდ არის აღწერილი წმ. ნინოს მიერ მოტანილი ქადაგება, მოიპოვებიან იგინი ჩვენ ოჯახებში, ვიხსენებთ ღირსეულად ჩვენ მამა-პაპის ღვაწლს სამშობლო ეკლესიისათვის, ვუღვიძებთ და ვუნერგავთ ჩვენ შვილებს გულში მამა-პაპურ მხურვალე და მტკიცე სიყვარულს ეკლესიისა, ენისა და მამულისას? გადაწყვეტილი და გულ-ახდილი პასუხი ამისი მოგვინდვია თვით მსმენელთათვის. ხოლო უკეთუ სუყველაფერი ესეები დავიწყებული გვაქვს, ანუ უკეთუ გულგრილად ვიმყოფებით ყოველ ზემოხსენებულის შესახებ, ვუწყოდეთ, რომ ჩვენ დავსდგომივართ გადაშენების, უბედურობის და უკუღმართობის კვალს; ვუწყოდეთ, რომ უარ-გვიყვია ჩვენის განმანათლებლის შრომა და ცრემლი, ჩვენი მამა-პაპის დანთხეული წმ. სისხლი, მათი წმ. და გაუტეხელი ანდერძი, რის გამოც, რა კითხვა უნდა, ჩავცვივით პასუხის გებაში წინაშე ღვთისა, სამშობლო ეკლესიის დამაფუძნებელისა და ყოველთა ქართველთა წმიდათა, რაისაგანაც სამუდამოდ გვიხსნას ჩვენცა და მთელი ჩვენი ჩამომავლობაც უფალმა იესო ქრისტემ, ვედრებითა და მეოხებითა წმ. დედისა ჩვენისა ნინოსითა. ვისურვებთ წრფელის გულით, რომ ყოველ ქართველს დიდსა და პატარას, კაცსა და ქალს შეეგნოს და პირნათლად აღესრულებინოს თავისი ზნეობრივი მოვალეობა წინაშე სამშობლო ეკლესიისა, რათა ყველა ქართველს სასიხარულოდ და სანუგეშოდ მიაჩნდეს ხსენება მოციქულთა სწორისა ნინოსი. ამინ!“

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** პანამის საქმის გარჩევის დროს როსინიოლმა სთქვა, რომ ობლიგაციე ბის გამოცემის დროს პანამის საზოგადოება ხალხს ატყუებდა. თითონ საზოგადოებაც-კი იყო დარწმუნებული, რომ პანამის არხის გაყვანა არ დასრულდება და სხვებს-კი აჯერებდა, არხი 1890 წელს მზად იქნებაო. სუეზის კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა გენერალმა შტოკომ სთქვა, 17 წელიწადია ფერდინანდ ლესეპს ვიცნობ, როგორც პატიოსანს კაცსაო.

მოწმემ ჟილლიმ, რომელიც სასამართლომ ნიმიდგან პარიჟს მოიწვია, თქვა, რომ უკანასკნელი ჩემი ფული 200 ათასი ფრანკი პანამის საზოგადოების აქციების ყიდვას მოვახმარეო. აქციების ყიდვა მხოლოდ იმიტომ გავბედე, რომ ფერდინანდ ლესეპსმა ლექცია წაიკითხა ნიმაში, ხალხს დეპეშა უჩვენა და სთქვა: 200,000 ობლიგაცია მოგვთხოვეს და ხელი მოაწერეს ამ თხოვნასაო. ამ რიგად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ პანამის არხი 1890 წელს მზად იქნებაო.

სასამართლომ ჟილლის ჩვენებას დიდი ყურადღება მიაქცია. შარლ ლესეპსმა სთქვა, არ მახსოვს, რომ მამაჩემს ეგ სიტყვები ეთქვასო.

მოწამემ, ინჟენერმა დრუეზმა მოახსენა სასამართლოს, მე ჩემის თვალით ვხედავდი, რომ მუშები ერთსა და იმავე ადგილას მუშაობდნენ და იჯარადარნი ბევრ ფულს იღებდნენ იმ საქმეში, რომელიც სრულიად არა კეთდებოდაო.

პანამის საზოგადოების აქციების ერთს პატრონს უნდოდა ვრცელი სიტყვა წარმოეთქვა პანამის საზოგადოებისა და ჟურნალ-გაზეთების წინააღმდეგ, მაგრამ თავმჯდომარემ ეს სიტყვა გააწყვეტინა.

გიუგო ობენდორფენმა სთქვა, პანამის საზოგადოებამ ორი მილიონი მომცა იმ პროექტში, რომელიც წარვუდგინე საზოგადოებას მომგებიან ობლიგაციების გამოცემის შესახებაო. პანამის საზოგადოების მთავარმდივნად ნამყოფმა მარტენმა სთქვა, შევიტყე თუ არა, რომ საზოგადოებას რეინახისათვის ფული უნდა მიეცა, იმ წამსვე ჩემს თანამდებობას თავი დავანებეო.

დასასრულ, თავმჯდომარემ სთხოვა ლესეპს, ის ჟურნალისტი დაესახელე, რომელმაც ჩეკით 50,000 მანათი მიიღოვო. ლესეპსმა გამოაცხადა, ეგ ჟურნალისტი «Gaulois» რედაქტორი არტურ მეიერი არისო. ექსპერტმა ფლორიმ დასძინა, მეიერმა მეორედაც მიიღო უსახელო ჩეკით კიდევ 50,000 ფრანკიო.

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ უმორჩილესად თქვენის პატივცემულის გაზეთის შემწეობით, უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ გიორგი სვიმონის ძე ივანოვს, რომელმაც შემოსწირა ჩემდა რწმუნებულ ეკკლე-

სიას ზარი ხუთ ფუთიანი, ღირებული თორმეტ თუმნად, ორი შეკერცხლილი მაცხოვრის ხატი, ღირებული ოც მანეთად, ვერცხლისავე განსაზავებელი ხუთ მანეთიანი და ხუთი მანეთიც ფულად. სულ 150 მან.

ზემო-გლდნის მღ. ანტონ ჩიქოვანი
1893-სა წელსა
იანვრის 18-სა.

# დეპეშა

18 იანვარი

**პეტერბურგი**. გუშინ ბუხრის ემირს და ამალას ხელმწიფე იმპერატორმა საჩუქრები უბოძა, სხვათაშორის ემირს ბრილიანტის პანაში ჩალმისთვის.

**ყაზანი**. დღეს შუადღის 2 საათსა და 30 წამზედ ყაზანის ერთ ქარხანაში აფეთქდა 40 ფუთი პიროქსილინი; სამი მუშა მოკლულ იქმნა, ერთი დაიჭრა, დაუშავდა ყბა და ფეხი; ერთი მუშაც სულ დაიფლა ნაგავსა და ქვებში. იმ ნაგავიდგან კაცი დაუშავებელი ამოიყვანეს; ის ოთახი, რომელშიაც პიროქსილინი იყო, ერთიანად დაინგრა.

**პარიჟი**. „ფიგაროს“-ს სიტყვით, დედოფალი ნატალია ბიარიციდგან $^{3}/_{15}$ მარტს გაემგზავრება მარსელს და იქიდგან ზღვით ყირიმში წაბრძანდება.

— პალატის კომისიამ მიიღო პროექტი შესახებ იმისა, რომ შეცვლილ იქმნას კანონი, ჟურნალ-გაზეთების შემწეობით, უცხო ქვეყნების ხელმწიფეთა და ელჩების შეურაცხყოფის შესახებ, აგრედვე მათ წინააღმდეგაც, ვინც ხალხს წააქეზებს იმ დანაშაულობაზე, რომლებიც მოხსენებულია სენატის გარდაწყვეტილებაში.

— დღეს დუელი მოხდა პიმონისა და დერულედის შორის; პიმონი დაიჭრა ბარძაყში, დერულედი სუმბუქად დაიჭრა სახეში.

**მადრიდი**. ნება დართულია ისპანიაში ნიკოლაევისა, ოდესისა, ტაგანროგისა და რიგადგან თავისუფლად საქონლის შეტანა.

**რომი**. პროვინციის გაზეთები იუწყებიან, რომ იმ კომისიის დეპუტატებმა, რომელსაც საგნადა ჰქონდა საემისიო ბანკების პრივილეგიების განხილვა, სახელმწიფო ბანკიდგან დიდძალი ფული მიიღესო. ამ დეპუტატთა შორის, ნიკოტერამა და ზენნომ სასამართლოს მიჰმართეს და გაზეთებს დიფამაციას აბრალებენ; ამას გარდა განზრახვა აქვთ, ამავე საქმის შესახებ კითხვა აღძრან ტრიბუნიდგანაც. პარლამენტის წრეები ამ საქმის გამო ძლიერ აღელვებულნი არიან.

პეტერბურგის ბირჟა, 15 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,83 | 7,86 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 156½ | 157½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 240 |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 226 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . . | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 ,, | — ,, | — ,, |

**ხელ-და-ხელ საჭირო ცნობანი**

სოფელ მეგრაბ-გიუნ-გენდს, ერევნის გუბერნიაში 17 მარტისათვის დანიშნულია გასყიდვა ელიაზარ სააკაშვილის ბაღისა, რომელიც იმყოფება ზემოხსენებულ სოფელში და დაფასებულია 800 მანეთად. ბაღი სიგრძით 510 არშინია და სიგანით 46 არშინი.

ტფილისის ოლქის საინტენდანტო მმართველობა აცხადებს, რომ 30 იანვარს დანიშნულია გაჭრობა იმისი, თუ ვისგან იყიდოს 480 შნურებიანი წიგნი. იჯარადარს 2 თვის ვადა ეძლევა ამ წიგნების დასამზადებლად.

**გამოსადეგი ცნობანი**

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | 4 | „ |
| „ „ 2 „ „ | „ | 3½ | |
| „ „ 3 „ „ | „ | 3 | „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | 5 | კ. |
| „ „ „ 2 | „ | 4 | „ |
| „ „ „ 3 | „ | 3½ | |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | 7 | კ. |
| მე-2 „ „ „ | „ | 5 | „ |
| მე-3 „ „ „ | „ | 4 | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | | 7 | კ. |
| სუკი — — — | | 12 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | | 7 | „ |

# განცხადებანი


**ფრანგულსა** და გერმანულს ასწავლის **პარიჟელი პროფესორი**, მიხეილის ქუჩა № 29.
(3—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა, პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფიასა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქ, საყმაწვილო სურათეიანი წიგნი შ. მღვიმელისაბი . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული. გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთ ავისა . . . . . . | „ | 60 |

# რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—29) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

# პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები ძიილებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.
(50—34)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# „ჯ ე ჯ ი ლ ი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)
2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.
3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.
4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.
5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

СЕЗОНЪ 1893 ГОДА.

„ТОВАРИЩЕСТВО ПРОМЫШЛЕННИКОВЪ САРПИНСКИХЪ ИЗДѢЛІЙ“

золотая медаль сэнъжилль 1892 г. — **сарпинка—платки** — чулочная **пряжа—юбки** сарпинка — сарпинка **рельефъ—чесунча** сарпинка — золотая медаль брюссель 1892 г.

Ручнаго ткачества, собственной выработки. Продажа цѣльн. штуками и аршинами—пересылка во всѣ мѣста Россійской Имперіи и за-границу. Образцы, въ изящномъ „Альбомѣ“, высылаются съ Декабря мѣсяца 1892 г. за 42 коп. почтовыми марками. Переписку просимъ вести *на русскомъ языкѣ*.

Золотая медаль Лондонъ 1892 г. АДРЕСЪ: САРАТОВЪ—Товариществу Сарпинокъ. Золотая медаль Брюссель 1891 г.

СЕЗОНЪ 1893 ГОДА.

Годъ X. Годъ X.

1893

**ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ**

КАРССКОЙ ОБЛАСТИ

**ОТКРЫТА ПОДПИСКА**

**НА ГАЗЕТУ**

**„КАРСЪ“**

НА БУДУЩІЙ 1893 ГОДЪ.

Газета „Карсъ“ въ 1893 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году, по той-же программѣ и подъ тоюже редакціею.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

**съ доставкою и пересылкою три рубля.**

Подписка принимается въ редакціи газеты „Карсъ“, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета «Карсъ» имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея устройству.


Доз. ценз. Тифлисъ, 19-го Января 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.